ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №-79

2010 წლის 17 აგვისტო
ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურში, სოფელ ციხისძირის, სოფელ ზენითის ეკლესიის მშენებლობისათვის საპატრიარქოსათვის მიწის ნაკვეთების უზურფრუქტის წესით გადაცემის შესახებ

„ ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 16-ე მუხლის მეორე პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. საქართველოს საპატრიარქოსათვის ეკლესიის მშენებლობისათვის უსასყიდლო უზურფრუქტის წესით გადაეცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები 3491 $მ^2$ (მდებარე დაბა ოჩხამური), 306 $მ^2$ (მდებარე სოფელი ციხისძირი), 800 $მ^2$ (მდებარე სოფელი ზენითი), საჯარო ამონაწერი და საკადასტრო გეგმა თან ერთვის.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე. ბაგრატიონი).

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №-30).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ნ. ბერაძე